მერცია ხუნდაძე •

რუსეთის „რბილი ძალა“ საქართველოში: ეკონომიკური ფაქტორი ••

„რბილი ძალა“ საუკეთესო საშუალებაა პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალაუფლების გასამყარებლად. მას შემდეგ რაც რუსეთმა „ხისტი ძალის“ გამოყენებით მაინც ვერ შეძლო სამხრეთ კავკასიაში საგარეო ვექტორის თავისკენ შემობრუნება, სხვადასხვა პროპაგანდისტული საშუალებებით ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას და ამისთვის „რბილი ძალის“ სხვადასხვა მექანიზმებს იყენებს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორია, რომელიც შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. მოხსენებაში გაანალიზებულია რუსული „რბილი ძალის“ ეკონომიკური მიმართულება საქართველოში. ეკონომიკური დამოუკიდებლობა პირდაპირპროპორციულია სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და განვითარებისა. საქართველოში კი რაც უფრო იზრდება ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულება და გადაჯაჭვულობა, მით უფრო იზრდება რუსული კონტროლიც სხვადასხვა სფეროებზე.

მოხსენება მომზადდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ რელევანტური ლიტერატურისა და ინტერვიუების მოძიებით, რომლებიც კონტენტ ანალიზით დამუშავდა, რამდენადაც ეს ნაწილი სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვდა. ასევე კვლევის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან.

საკვანძო სიტყვები: ***რუსეთი, ეკონომიკა, რბილი ძალა.***

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ მე-2 სამეცნიერო კონფერენციაზე „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“.

“რბილი ძალა” რუსეთისთვის შედარებით ახალ ცნებას წარმოადგენს. ოფიციალურად საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში 2007 წელს გაჩნდა. როგორც წესი, რუსეთში რბილი ძალა პროპაგანდისტულ ინსტრუმენტად განიხილება და მის შინაარსობრივ მხარეს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, თუმცა მთლიანად ცენტრალიზებულია და რუსეთის მთავრობის მიერ იმართება, მეტიც 2008 წელს ინსტიტუტადაც კი ჩამოყალიბდა, რომლის მთავარ ამოცანასაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ რუსეთისთვის კარგი იმიჯის შექმნა წარმოადგენს. რუსეთი საკუთარი იდეოლოგიის, ღირებულებების და კულტურის გავრცელებისათვის სხვადასხვა ხერხებს მიმართავს, მათ შორის მედიასაშუალებებს. ასევე აღსანიშნავია რელიგიური სტრუქტურების, კერძოდ საპატრიარქოს როლიც. რელიგიური სენტიმენტები განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება ისეთ ქვეყნებთან მიმართებით, რომელთანაც საზიარო კონსერვატიული ღირებულებები და ისტორია გააჩნიათ. რუსეთისთვის “რბილი ძალის” გამოყენების ერთ-ერთი გამორჩეული ასპარეზი სამხრეთ კავკასიაა, სადაც “ხისტი ძალაც” არაერთხელ გამოიყენა, თუმცა საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო ვექტორი თავისკენ ვერ მოაბრუნა. ამგვარი ვითარების გამო, რუსეთმა ნელ-ნელა შეცვალა ტაქტიკა და “ხისტ ძალასთან” ერთად დაიწყო “რბილი ძალის” გამოყენებაც.

ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის, - საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი გამუდმებით ცდილობს გლობალური მოთამაშის ამპლუაში მოგვევლინოს, შეინარჩუნოს ეკონომიკური ცენტრი და მის ხელთ არსებული ბერკეტები პოსტსაბჭოთა სივრცეში სიტუაციის სამართავად გამოიყენოს. რუსეთის ფედერაცია ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არსებულ სტრატეგიულ ობიექტებს და სახელმწიფო კომპანიებს შეისყიდის, რათა ზეგავლენის ბერკეტები კიდევ უფრო გაზარდოს. ა. დუგინის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატებია სწორედ ის ძალა, რომელიც ცდი-

ლობს მსოფლიო ამერიკული დოლარის ინტერესებში მოაქციოს, რომ მათ გეოპოლიტიკურ მიზნებში მნიშვნელოვანი წვლილი უკავია ეკონომიკას. თუმცა ფაქტია, რომ რუსეთსაც იგივე მექანიზმები აქვს. სწორედ ეკონომიკური და ენერგო ფაქტორებია ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი, რომლის გამოყენებითაც რუსეთი ცდილობს საქართველოში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება შეზღუდოს. ღია წყაროებში არსებული მონაცემთა ანალიზის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სულ უფრო მატულობს საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემის ფაქტები. ოპოზიციის აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა, რომ საქართველო რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული რუსეთზე, საქართველოს დეოკუპაციის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მთავარი საფუძველია (ჯამბურია, 2019).

რუსეთი დღეს საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. გარდა ვაჭრობისა, რუსეთი ეკონომიკის სხვა დარგებშიც ლიდერობს. მათ შორის ტურიზმში, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაში, რაც ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა, მშენებლობაში და ა.შ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით რუსული ვალუტის შემოდინება ხდება, რასაც რუსეთის ფედერაციაში დიდი ქართული დიასპორის არსებობა განაპირობებს (ბრეგვაძე, 2019). ამ ფაქტს კარგად იყენებენ რუსეთში რუსი პოლიტიკოსები, მაგალითად ჟირინოვსკი ერთ-ერთ განცხადებაში ამბობდა, რომ „თეთრი აღარ უნდა გაიგზავნოს საქართველოში რუსეთიდან, ისინი გვლანძღავენ და ჩვენ ფული ვუგზავნოთ კარგად საცხოვრებლად?" ჟირინოვსკის უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ზოგადად ეკონომიკურ ურთიერთობაზეც. მისი აზრით რუსეთს რადიკალური ზომები უნდა მიეღო, გაეწყვიტა საქართველოსთან ყოველგვარი ეკონომიკური ურთიერთობა, გაე-

უქმებინა ტურები და შეეჩერებინა გზავნილები. თუმცა სხვა რეალობა გვაქვს სახეზე.

"დღეს, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე ვხედავთ, რომ საქართველო რუსებისთვის ერთგვარ თავშესაფრადაც კი იქცა, ეკონომისტებს შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით უხარიათ კიდეც, საქართველოში ამდენი ტურისტის შემოდინება, მიუხედავად იმისა, რომ მათი აფსოლუტური უმრავლესობა რუსია. განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ, ძალიან მოენატრა საქართველოს ტურისტები, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ეს ხომ სრული კატასტროფაა. რუსები ყიდულობენ ბინებს და აქ სახლდებიან და ღმერთმა იცის მოისურვებენ კი წასვლას? გარდა ამისა, უკრაინის ომისა და დიდი კრიზისის ფონზე, უბრალოდ სირცხვილია, რომ ჩვენი მეგობრის მტერი და პირველ რიგში ჩვენი დიდი მტერი ასე თავისუფლად დადიოდეს ჩვენს ქუჩებში." (რესპოდენტი N4; 07.06.2022)

ჟირინოვსკი იმასაც ამბობდა, რომ საქართველოსთვის რუსეთს მისთვის სრული ბლოკადა მოეწყო, მათ შორის შეეწყვიტა საქართველოსთვის ენერგიის მიწოდება. ჟირინოვსკისგან განსხვავებულ აზრს აფიქსირებდა დუგინი, რომელიც ფიქრობდა, რომ საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტა შეერთებულ შტატებს აწყობდა, რომ კიდევ უფრო განემტკიცებინა თავისი გავლენა რეგიონში. ამიტომ დუგინის აზრით, არა ბლოკადა არამედ ეკონომიკური და ენერგეტიკული ზეწოლის გაძლიერება იყო მნიშვნელოვანი. საბოლოოდ, რუსეთი სულ უფრო მეტად შემოდის ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში და ეკონომიკის გავლით ცდილობს დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაშიც.

"მეტი რუსული კომპანია ნიშნავს მეტ რუს ფულს, მეტი რუსული ფული მეტ რუსულ გავლენას, მეტი რუსული გავლენა მეტ რუსეთის მოქალაქეს საქართველოში, რასაც თავისთავად მოჰყვება რუსული ენის გავლენის ზრდა. საბოლოოდ კი არ არის გამორიცხული მივიღოთ იგივე შედეგი რაც ოდესღაც აფხაზეთში და სამაჩაბ-

ლოში. შემდეგი შეიძლება გათუმი იყოს, რომელიც სხვათაშორის სავსეა რუსებით და რუსულად მოსაუბრე ხალხით. რუსეთიც მოვა და დაგვაბრალებს, ჩემს ხალხს ჩაგრავთ რომელიც ძალიან ბევრი ცხოვრობს ამა და ამ ტერიტორიაზე, ამიტომაც მისი საქართველოს-გან გამოყოფა უნდა მოხდესო…არაფერია გამორიცხული" (რესპო-დენტი N4; 07.06.2022).

შედარებით რბილი ნარატივის მატარებელი იყო შევჩენკო, რომელიც ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობდა თუ რაოდენ მნიშვნე-ლოვანია საქართველოსთვის რუსეთთან ურთიერთობების აღდგე-ნა, რამდენადაც ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მეტ მოგე-ბას სწორედ რუსეთისგან ნახულობს, ამაში იგულისხმება მუდმივი ბაზარი პროდუქტებისთვის თუ ინვესტიციებისთვის. აქვე აღნიშ-ნავს, რომ ყველაზე მდიდარი ქართველები სწორედ რუსეთში ცხოვ-რობენ და არა ამერიკაში. ამდენად ფულადი გზავნილების ძირითა-დი მასა, სწორედ რუსეთიდან შედის საქართველოში. საინტერესო აქცენტებს სვამს და ქართულ კულტურას არც თუ ისე სახარბიელ-ოდ მოიხსენიებს, რამდენადაც მას დაცემულ მდგომარეობაში მყოფს უწოდებს, რადგან აღარ ჰყავს რუსი მაყურებელი, რომელიც შევჩენკოს აზრით ყოველთვის იყო მთავარი მომხმარებელი ქართუ-ლი კულტურისთვის.

დღეს-დღეობით მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკონომი-კა დივერსიფიცირებულია, დამოკიდებულება რუსეთზე კვლავაც მაღალია. 2018 წელს ეკონომიკურმა ბრუნვამ ამ ორ ქვეყანას შორის, ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, რაც მთლიანი საგარეო ვაჭრობის 12%-მდე უდრის. ვაჭრობა არა ტრადიციულად იმპორტის ხარჯზე გაიზარდა, არამედ ექსპორტის. გაზრდილი ვაჭრობის 12%-დან მაკ-როეკონომიკური პარამეტრები განსხვავებულია. მაგალითად ფუ-ლად გზავნილებზე, მშპ-სთან შეფარდებით ყველაზე მეტი, 7% მო-დის. ტურიზმზე 3%. ექსპორტის ანალოგიური მაჩვენებელი 2.7%-ია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთი საქართველოს მსხვილი

ეკონომიკური პარტნიორია, რისი შეცვლაც მარტივი სულაც არ იქნება. რუსულ-ქართული ვაჭრობის შეჩერების შემთხვევაში ზიანი მხოლოდ ქართულ საექსპორტო პროდუქციას არ შეექმნება, არამედ იმპორტის ჩანაცვლებაც გამოიწვევს რიგ ცვლილებებს. მაგალითად ფასების მომატებას, ასევე ზოგიერთი პროდუქტის დეფიციტს გარკვეული დროის მონაკვეთში. შეიძლება ერთი შეხედვით ეს კატასტროფულად არ გამოიყურებოდეს, თუმცა გასათვალისწინებელია ის სექტორები, რომლითაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გადაჯაჭვულია რუსეთზე და საქართველოში მასობრივ დასაქმებასაც უზრუნველყოფს. მაგალითად ტურიზმი, ღვინის წარმოება, რომელიც ასეულობით ადამიანს ასაქმებს. ხოლო ფულადი გზავნილები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და სოციალურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. იმის მაგივრად, რომ რუსეთთან დამოკიდებულების ზრდა ნელ-ნელა შევზღუდოთ, რათა ნაკლებად დამანგრეველი იყოს ჩვენი ეკონომიკისთვის, ეს დამოკდიებულება დღითი-დღე იზრდება რაც კიდევ უფრო მეტ რისკ-ფაქტორს აჩენს და ჩვენს ეკონომიკურ დამოუკიდებლობასაც სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს. (ჭარაია,ვ., ანგურიძე, ო., გულბანი შ.)

ლიტერატურის სია

ჯამბურია, ლ. (2019). *რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი.

ბრეგვაძე, ე. (2019). *რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაცაბერიძე, მ. (2020). *მაქსიმ შევჩენკო რუსეთის კავკასიური პოლიტიკის შესახებ.* სალექციო კურსი, თბილისი.

მაცაბერიძე, მ. (2020). *ალექსანდრე დუგინი "ფიქრები საქართველოზე".* სალექციო კურსი.

ჭარაია, ვ., ანგურიძე, ო., გულბანი, შ., სექტორი 3. სექტორული ანალიზი, რუსეთის ფაქტორი ქართულ ეკონომიკაში. ჰაბი განვითარებისთვის. https://sector3.ge/Libraries/Download/94 ნანახია: 29.11.2022

Mertsia khundadze

Russia's "soft power" in Georgia - economic factors

Abstract

"Soft power" is the best way to build power in the post space. Since Russia has to look like a "hard power", although there is no foreign vector in the South Caucasus, the goal of various propaganda tools is to achieve its goals and use different mechanisms of "soft power" for this. Among them is one of the most important economic factors, which can be decisive for the future of our country. We'd analyzed the economic direction of Russian "soft power" in Georgia. Economic independence is second proportional to the independence and development of the state. In Georgia, the more the dependence and interlinking of the economy with Russia increases, the more control over various fields.

The report was prepared using the monthly method, in particular, the search for relevant literature and interviews, which content analysis was processed, as this part required an in-depth analysis. Also some in-depth interviews with industry experts and specialists.

Key words: Russia, economy, soft power.